ბრძანება N 05-207

2015 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის N714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა“ და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების განთავსების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 3 მაისიდან 28 ივნისამდე პერიოდი.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა/საჯაროდ გამოცხადების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება ძალაში შედის დაინტერესებული პირებისათვის გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი